# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

# ბრძანება № 316

თბილისი „07“ 04 2017 წ.

**2017-2018 სასწავლო წელს კერძო სამართლის იურიდიული პირების - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის მიზნით სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2017 წლის 06 აპრილის N332902 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. კერძო სამართლის იურიდიული პირების - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის მიზნით სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2017 წლის 10 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით;
2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი